

მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა
ადგილობრივ თვითმმართველობაში

*ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის
საჭიროებების დოკუმენტი*

*ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
(LDA Georgia)*

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის“ მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის „თანხმობა“ იურისტი (IDP Women Association "Consent").

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	4
1.1 კვლევის საფუძველი	4
1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა	4-5
1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება	5
2. შესავალი	6-7
3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....	8
3.1. ეკონომიკური განვითარება.....	8-9
3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....	9-10
3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....	10-11
3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა	11-12
3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....	12-14
4. რეკომენდაციები.....	15
5. საბიუჯეტო პროგრამა.....	16-17
6. დანართი.....	18
სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....	18-19

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1. კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში , 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა , რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალთ დახედული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე, წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას მიღებული ინფორმაციიდან.

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წ საბიუჯეტო პროგრამები , მერის 2021-2024წწ პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობელი , დევნილი, სოფლის მაცხოვრებელი);
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თექვსმეტმა (16) რესპოდენტმა, რომელთა შორის თოთხმეტი (14) მდებარეობს სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 23 წლიდან 70 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობას.

1.3. ჯგუფური დისკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ზესტაფონის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19 - ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკიოტები, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid-19 -გან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გაამძიერებს და თვითკმარს გახდის. დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდობა მუნიციპალიტეტში ნაკლებად აქტიურია, შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს ახალგაზრდების წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება, მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მეტად უზრუნველყოფა, დაინტერესება ცხოვრების ჯანსაღი წესით და სხვა.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც შეუმცირდათ შემოსავალი, მოწყვლადი ოჯახები კი უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა.¹ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

¹ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1. ეკონომიკური განვითარება:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი წლების განმავლობაში იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აქტიური ხელშემწყობი, ვინაიდან აღნიშნულ მუნიციპალიტეტში უმსხვილესი ფეროშენადნობთა ქარხანა არსებობდა. ქარხანა დღესაც აგრძელებს მუშაობას და ზესტაფონელებისათვის დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა.

სოფლის მეურნეობა : ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია. მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობა-მეღვინეობას. სოფლებში არაერთი საოჯახო მარანია, რომელიც ტურისტებისთვისაც მიმზიდველია. მცირე ნაწილი დაკავებულია მიწათმოქმედებით. ასევე, მისდევენ მებაღეობას, მეცხოველეობასა და მეფუტკრეობას.

როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს ზესტაფონს აქვს სოფლის მეურნეობის უფრო მეტად განვითარების პოტენციალი, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული სფერო სხვადასხვა გამოწვევებს აწყდება, კერძოდ ადგილზე მწვავედ დგას დარგის სპეციალისტების ნაკლებობის საკითხი (აგრონომები, ვეტექნიკები და სხვა), რომლებსაც შეეძლოს კვალიფიციური კონსულტაციების გაწევა სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. მოსახლეობის ცნობიერების დონე დაბალია ახალი ჯიშების და ახალი ტექნოლოგიების დარგში. მათ ნაკლებად მიუწვდებთ ხელი ტექნოლოგიურ სიახლეებთან, სიძვირისა და ცნობიერების ნაკლებობის გამო. მოსახლეობა ძირითადად ძველი ჯიშის სათესლე მასალას იყენებს, რაც ნაკლებპროდუქტიულია. რესპოდენტების თქმით, ძვირადღირებულია სოფლის მეურნეობის კუთხით საჭირო პესტიციდები, სასუქები.

ადგილზე არსებობს ე.წ მექანიზაციის ცენტრი, სადაც მოქალაქეებს შესაბამისი აგროტექნიკის ქირავნობა შეეძლოთ, თუმცა ტექნიკის ნაწილი დღეს უკვე ამორტიზირებულია. შესაბამისად ტექნიკა ნაკლებადაა ხელმისაწვდომი სოფლებისთვის, სადაც მოსახლეობა უფრო მეტადაა დაკავებული მიწათმოქმედებით. გამოწვევაა საწვავზე გაზრდილი ფასები. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემული დიზელის ვაუჩერები, არ არის საკმარისი სასოფლო სამეურნეო სამუშაოების სრულად განსახორციელებლად.

ბოლო წლებში , სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში მოსახლეობამ დაიწყო ისეთი კულტურების გაშენება , როგორცაა მარწყვი, ჟოლო, მოცვი. მოსახლეობას ასევე შეუძლია ისარგებლოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამებით. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნული პროგრამების დახმარებით დაიწყო და განავითარა საკუთარი ბიზნეს საქმიანობა.

ეკონომიკური განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის საკითხზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ მოქალაქეები საჭიროებენ ბიზნეს განაცხადების წერის უნარების განვითარებას, ასევე კომპიუტერული უნარების განვითარებაში ხელშემწყობას, რათა უფრო მარტივად შეძლონ საჭირო ბიზნეს განაცხადების შევსება და ელექტრონულად გაგზავნა.

ადგილობრივი ბიზნესი და ბაზარზე წვდომა : ზესტაფონში ძირითადად მცირე მეწარმეები არიან წარმოდგენილი. პანდემიამ ხელი შეუწყო ახალი ბიზნეს მიმართულების განვითარებას, კერძოდ მოთხოვნადი გახდა ადგილზე მიტანის სერვისი. ქალაქში წარმოდგენილია მცირე მეწარმე სუბიექტების სამკერვალოების, სილამაზის სალონების, სასურსათო მაღაზიების და პატარა სწრაფი კვების ობიექტების

სახით, სოფლებში კი მეწარმეობა ნაკლებად ვითარდება შესაბამისი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო.

მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მეწარმე სუბიექტია „ჯორჯიან მანგანეცი“, რომელსაც ხუთი შვილობილი კომპანია აქვს დაფუძნებული. ზესტაფონშივე ფუნქციონირებს სს „საქ კაბელი“.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ცნობილია თიხის მიწითა და მექოთნეობით. აქვე მზადდება თიხის ჭურჭელი და სუვენირები, რომელიც პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში. თიხისგან ამზადებენ ქვევრებს, თონებს, რომელიც იყიდება როგორც ადგილზე ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების, ხორცის რეალიზება ადგილობრივად, შპს „სავაჭრო ცენტრი“-ს ტერიტორიაზე ხდება. საერთაშორისო ბაზარზე ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ წარმოებული ნედლეული გადის. ასევე, მცირე რაოდენობით ღვინის და მწვანის ექსპორტი ხდება.

ტურიზმი და რეკრეაცია: ზესტაფონში ტურიზმის მიმართულება ნაკლებადაა განვითარებული, შესაბამისად სასტუმროები, მათ შორის საოჯახო სასტუმროები ნაკლებადაა წარმოდგენილი. ადგილზე ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობი ადგილები. არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები(სველი წერტილები). მართალია ზესტაფონს ტურიზმის განვითარების პოტენციალი გააჩნია, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებით სწორი ხედვის არსებობა და ტურიზმის განვითარების დოკუმენტის შემუშავება. ასევე კულტურული ღირსშესანიშნაობის მქონე ადგილების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეულწილად გაუარესდა პანდემიის შედეგად, რადგან არაერთი მოქალაქე შემოსავლის გარეშე დარჩა, მოწყვლადი ოჯახები კი უფრო მეტად გახდნენ დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებაზე. პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი საკვები პროდუქტების მიწოდებას ახორციელებდა მარტოხელა ხანდაზმულებისთვის, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის. იმ ოჯახებს, რომლებიც სოციალურად დაუცველები არიან, რესპოდენტების თქმით უფრო შეუმცირდათ წვდომა მინერალებითა და საჭირო ვიტამინების შემცველ პროდუქტებზე (ხორცი, თევზი, ხილი და სხვა), რადგან პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად გაიზარდა, ოჯახების შემოსავალი კი არა.

დისკუსიების მსვლელობისას აღინიშნა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა შუახნის ასაკს გადაცილებულია. შობადობის წასახალისებლად მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს ახალშობილთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მიგრაცია: ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დისკუსიების მსვლელობისას აღნიშნეს, რომ ახალი სამუშაო ადგილები ზესტაფონში ნაკლებად იქმნება. ახალგაზრდებისთვის მწირია განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობები, რის გამოც მოქალაქეები იძულებული ხდებიან წავიდნენ საზღვარგარეთ, რაც ხელს უწყობს მიგრაციის მაჩვენებლის ზრდას. ზესტაფონისთვის დამახასიათებელია არამხოლოდ გარე, არამედ შიდა მიგრაციაც. სოფლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სათანადო საცხოვრებელი პირობების არ არსებობის გამო მოსახლეობა ცდილობს გადავიდეს საცხოვრებლად ქალაქში.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ადგილობრივი სახსრებითა და სახელმწიფო თუ საერთაშორისო ფონდების დახმარებით მუდმივად მიმდინარეობს. პრიორიტეტულია გზების მოწესრიგება როგორც ქალაქში ასევე სოფლებში.

სოფლებში უწყვეტად მიმდინარეობს გზების მოწესრიგება, თუმცა არის რამდენიმე მაღალმთიანი სოფელი, სადაც ჯერ არ დასრულებულა აღნიშნული პროცესი. ძირითადად მოსაწესრიგებელია შიდა საუბნო გზები. მიმდინარეობს თავად ქალაქ ზესტაფონის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაციაც. მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად ხორციელდება გაზიფიცირება. არის სოფლები სადაც ჯერ არ არის გაზი მიყვანილი. წესრიგდება გარეგანათება როგორც ქალაქში ასევე სოფლებში.

სოფლებში ხელმისაწვდომია ნაგვის ურნები. თუმცა, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის საკითხში ყველაზე დიდ გამოწვევად მოსახლეობის ქვევის შეცვლა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. სასმელი წყალი ქალაქში გრაფიკითაა, თუმცა როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, მოსახლეობამ ზუსტად არ იცის რამდენად ვარგისია წყალი სასმელად. სოფლებში წყალთან ხელმისაწვდომობა უფრო მწვავედ დგას. მოწესრიგებას საჭიროებს საირიგაციო/სარწყავი სისტემა. კანალიზაციის ცენტრალური სისტემა მხოლოდ ქალაქშია. ქალაქის ინფრასტრუქტურა ნაკლებადაა ადაპტირებული და მორგებული შშმ პირების საჭიროებებს. პანდუსები ძირითადად ბაღებს, სკოლებს, საბიუჯეტო დაწესებულებებს, ავთიაქებს და ბანკებს გააჩნიათ.

ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში ნაკლებია ხელმისაწვდომობა ავთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე. მათი ადგილზე არსებობის მნიშვნელობა განსაკუთრებით პანდემიის შედეგად გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო გამოიკვეთა, როცა მოსახლეობას არ შეეძლო თავისუფლად შეეძინა მისთვის საჭირო სურსათი და ჰიგიენური საშუალებები, მედიკამენტები.

სოფლებში საბანკო მომსახურება ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ნოტარიუსით სარგებლობა მოსახლეობას საზოგადოებრივ ცენტრებში ან ქ. ზესტაფონში შეუძლია. ზესტაფონში ხელმისაწვდომია ასევე უფასო სამართლებრივი დახმარება.

მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი. არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის. როგორც ფოკუს ჯგუფების დისკუსიისას აღინიშნა მიუსაფარი ძაღლების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა, ხდება მათი გარემონტება, სველი წერტილების მოწესრიგება. ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრობლემაა წყალთან ხელმისაწვდომობა, რადგან წყლის სისტემა ზოგადად მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით სრულად არ არის მოწესრიგებული. მოწესრიგებას საჭიროებს საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთა სივრცეები, სათამაშო მოედნები.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ზესტაფონში არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი. მოსახლეობა სარგებლობს კერძო მიკროავტობუსებით, რის გამოც ვერ ხერხდება სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება სხვადასხვა მოწყვლადობის მქონე მოქალაქეებისთვის. ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. არსებული მიკროავტობუსები ყველა სოფელს ემსახურება, თუმცა გრაფიკი მოუქნელია და ზოგან არ არის მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ინტერნეტის დაფარვა თითქმის მთელ ზესტაფონს მოიცავს, გარდა რამდენიმე მაღალმთიანი სოფლისა. ასევე ინტერნეტ პაკეტების ფასიდან გამომდინარე ის არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის.

ზესტაფონში ფუნქციონირებს ადგილობრივი ტელევიზია. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია სოფლის წარმომადგენლების, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე შშმ ბავშვთა განათლება.

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ნაწილის (ბავშვები მრავალშვილიანი ოჯახებიდან, მაღალმთიანი სოფლების მაცხოვრებელი ბავშვები) ნაკლები ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან. გარდა ინტერნეტთან წვდომისა გამოწვევა იყო ასევე სათანადო ტექნიკის ქონა, უნარ-ჩვევები რომელიც საჭირო იყო ონლაინ სწავლების პროცესში ჩასართავად.

ზესტაფონში ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი „კონსტრუქტ2“, რომელიც მსურველებს მრავალფეროვან პროფესიების არჩევანს სთავაზობს, ძირითადად სამშენებლო სფეროში.

მუნიციპალიტეტში ბიბლიოთეკები არსებობს, თუმცა არა ყველა სოფელში. ძირითადად ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და წიგნების საცავი მოძველებულია. მოსახლეობისთვის არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისი.

ადგილზე მერიის დაფინანსებით ფუნქციონირებს კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები, სადაც ბავშვებისთვის სხვადასხვა წრეებია ხელმისაწვდომი, თუმცა ამ წრეებით ძირითადად ქალაქ ზესტაფონში ან ქალაქთან ახლოს მდებარე სოფლებში მცხოვრები მოზარდები სარგებლობენ. სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის კი მსგავსი მრავალფეროვანი კულტურულ - საგანმანათლებლო წრეებში მონაწილეობა ნაკლებად ხელმისაწვდომია ადგილზე შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და კადრების არ არსებობის გამო.

კეთილმოწყობილი რეკრეაციული ზონები, სპორტული და საბავშვო მოედნები განვითარებას და რეაბილიტაციას საჭიროებს. მოსახლეობის სურვილია გარეთა ტრენაჟორების დამონტაჟება. *„კარგი იქნება სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის უფასო გასართობი ადგილები იყოს ხელმისაწვდომი“*, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

ზესტაფონში არის ადგილობრივი თეატრი, მუზეუმი.

კულტურული და სპორტული აქტივობები ახალგაზრდების მონაწილეობით ძირითადად ზაფხულობით და სადღესასწაულო დღეებში ტარდება. ადგილზე არის საცურაო აუზი, თუმცა ის არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის ფასიდან გამომდინარე. მერიას არ აქვს საცურაო აუზით სარგებლობის სუბსიდირების პროგრამა მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი თუ იმ პირებისთვის, რომლებიც რეაბილიტაციას საჭიროებენ.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები: როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ზესტაფონში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები დანერგულია, თუმცა მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ მათ. ხშირად ამის მიზეზი მათი ნაკლები ინფორმირებულობაა.

მუნიციპალიტეტის მხრიდანაც არ ხდება მოქალაქეთა ჩართულობის წახალისების უზრუნველყოფა. სოფლის კრებები მხოლოდ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტარდება, თუმცა ტრადიციულად მოსახლეობის 20% ჩართულობის უზრუნველყოფა რთულია მიგრაციის გამო. აქტიურად არ გამოიყენება პეტიციების მექანიზმი, რადგან მოქალაქეებში ნაკლებია ცნობიერება. მრჩეველთა საბჭო შექმნილია, თუმცა საჭიროებს გაძლიერებას.

მოქალაქეები ნაკლებად მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. თითქმის არ ესწრებიან საკრებულოს სხდომებს. *„საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მოქალაქე ნამდვილად არ შეიჭახება თავს და არ ჩამოვა სოფლიდან. მოქალაქეები მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციას მაშინ ამყარებენ, როცა პირადი საკითხი აქვთ გადასაჭრელი, თემის საკეთილდღეოდ კი აქტიურობა თითქმის ნულის ტოლია“*, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

დისკუსიების შედეგად აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტად შეეწყოს ხელი.

მერიის საქმიანობისა და პროგრამების შესახებ ინფორმაცია მერიის ვებ გვერდის ან სოფლის წარმომადგენლების მიერ ვრცელდება, თუმცა არსებული საინფორმაციო მექანიზმები საჭიროებენ შუშ პირებისთვის ადაპტირებას.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიწოდებას მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებენ. მერიის სოციალური პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს, რაც ხშირ შემთხვევაში არასაკმარისია იმ პრობლემების მოსაგვარებლად რაც მოქალაქის წინაშე დგას. *„აუცილებელია არსებული პროგრამების მოდიფიკაცია, არ შეიძლება წლიდან წლამდე პროგრამის კოპირება ხდებოდეს ,“* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

პროგრამების შემუშავება შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ხდება.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევის, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს. ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. სოფლებში არის ამბულატორიები, მაგრამ ექიმი არ არის ხელმისაწვდომი ყოველდღიურად. სამედიცინო პერსონალზე მოთხოვნა კი პანდემიის შედეგად გაზრდილია, ამიტომ მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ ადგილზე სოფლის ექიმების კომპეტენციები აუცილებლად უნდა გაიზარდოს და გახდეს მორგებული პანდემიით გამოწვეულ საჭიროებებს.

სოციალური საკითხები და სერვისები: მერიის სოციალური დაცვის პროგრამების უმეტესობა ფულად გასაცემელზეა დაფუძნებული. მათი ნაწილი ერთჯერადი ხასიათისაა, ხოლო ნაწილი კი ყოველთვიურად ძალიან მცირე ოდენობის თანხის გაცემას გულისხმობს, რაც ეფექტურად ვერ უზრუნველყოფს მოქალაქის წინაშე მდგარი სოციალური ხასიათის პრობლემის გადაჭრას. პროგრამების უმეტესობა მყისიერად , იმ მომენტისთვის მდგომარეობის შემსუბუქებაზეა უფრო ორიენტირებული, რაც საბოლოო ჯამში არ იძლევა ბენეფიციარის საჭიროების აღმოფხვრას.

ადგილზე, მერიის დაფინანსებით ფუნქციონირებს უფასო სასადილო, რომელიც ყოველდღიურად ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფს 110 მდე უმწეო ადამიანს. არ არის სადილის შინ მიტანის სერვისი, რის გამოც უფასო სასადილოთი ძირითადად ქ. ზესტაფონში მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს, თუმცა ავადობის ან ბენეფიციარის გადაადგილების შეუძლებლობის შემთხვევაში ვერც ეს ადამიანები ღებულობენ სადილს. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ზესტაფონში ფუნქციონირებს „კათარზისი“-ც, რომლის პატრონაჟს (Socar Georgia) ახორციელებს.

ხანდაზმულებისთვის სრულყოფილი სერვისის მისაწოდებლად, მნიშვნელოვანია ადგილზე ხელმისაწვდომი იყოს ხანდაზმულთა დღის ცენტრი ან თავშესაფარი და დაინერგოს შინ მოვლის სერვისი. *„შორაპანში იყო გახსნილი კერძო თავშესაფარი, სადაც ხანდაზმულ ადამიანებს პენსიდან უნდა გადაეხადათ დარჩენის და მომსახურების თანხა, ამიტომაც მალევე დაიხურა“* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

ადგილზე ნაკლებადაა წარმოდგენილი მოწყვლადი ოჯახების გაძლიერების პროგრამები. მუნიციპალიტეტმა შეძლო კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამის განხორციელება, თუმცა აღნიშნული საპილოტედ განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით ერთ კონკრეტულ თემში.

მუნიციპალიტეტში არსებობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომლის მუშაობაც პანდემიის შედეგად შეფერხდა. ადგილზე ნაკლებადაა წარმოდგენილი 18 წლის ასაკს ზემოთ შშმ პირთა დასაქმების და საზოგადოებაში რესოციალიზაციის შესაძლებლობა. შშმ პირებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სპეციალური ეტლები, რომლებიც ზესტაფონში არ მზადდება.

ზესტაფონში არ არის ასევე სოციალური საცხოვრისი, თუმცა მრავლად არიან წარმოდგენილი უსახლკარო ადამიანები. მუნიციპალიტეტი ცდილობს გარკვეული თანადაფინანსება გაუწიოს იმ პირებს, რომელთაც აქვთ მიწის ნაკვეთი და დაწყებული აქვთ სახლის მშენებლობა, თუმცა თანადაფინანსების თანხა მცირეა (მაქსიმუმ 5000 ლარი) რაც უსახლკარობის პრობლემას ბენეფიციარისთვის დიდი ალბათობით ვერ გადაჭრის.

მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებში პოზიტიური მშობლობის უნარების განვითარების აუცილებლობა. *„ზესტაფონში ხორციელდებოდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოწყვლადი ოჯახებისთვის ხდებოდა სხვადასხვა საჭირო ნივთების, საქონლის შეძენა, თუმცა ოჯახები ამ ნივთებს ყიდნენ და ფულს ათას რამეში ხარჯავდნენ. ბავშვების კეთილდღეობას ნაკლებად ახმარენ ასევე სახელმწიფო დახმარებით მიღებულ თანხას“*, აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

დისკუსიების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თვალსაჩინოა ოჯახში ძალადობის ფაქტები, თუმცა ადგილზე არ არის ხელმისაწვდომი დროებითი თავშესაფარი, სადაც გადაუდებელ სიტუაციაში მსხვერპლის გადაყვანა იქნება შესაძლებელი. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არ არის ხელმისაწვდომი უფასო ფსიქოლოგის სერვისი. არ ხდება მათი გაძლიერება. ნაკლებია მოსახლეობის ცნობიერების დონე ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების და საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ. *„ყოფილა შემთხვევა, როცა მსხვერპლი მიმიყვანია ფსიქოლოგთან“*

კონსულტაციისათვის, მაგრამ საკუთარი სახსრებით, ნაცნობობით. მუნიციპალიტეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფულადი დახმარების გარდა სხვა სერვისი ხელმისაწვდომი არ არის ”, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია ოჯახის შეფასებისას მეტი ყურადღებით იყოს შესწავლილი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- ხელი შეეწყოს ადგილზე სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის პარკის განახლებას.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორცაა ბიზნეს განაცხადის წერა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური გაძლიერება სოფლებში.
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების გაძლიერებას, ახალი მექანიზმების დანერგვას და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთოსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი.

5. საბიუჯეტო პროგრამა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	18 წელს ზემოთ ასაკის შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			25 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
წინაპირობა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ ზესტაფონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიების დროს, მონაწილეების მხრიდან ერთხმად აღინიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი გახდეს 18 წელს ზემოთ შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები. აღსანიშნავია, რომ 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისთვის მუნიციპალიტეტში არსებობს სარეაბილიტაციო დღის ცენტრი, თუმცა 18 წლის შემდეგ შშმ პირები მხოლოდ ოჯახის წევრების იმედად რჩებიან. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის დონეზე ხელი ეწყობოდეს 18 წელს ასაკს გადაცილებული შშმ პირების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს მათ გაძლიერებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.			
პროგრამის ბენეფიციარები	ზესტაფონში რეგისტრირებული 18 წელს ზემოთ შშმ პირები.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	პროგრამის მიზანია , 18 წელს ზემოთ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია და დასაქმების ხელშეწყობა, ისეთი პროექტების განხორციელებით, რომელიც შემუშავებულია შშმ პირთა მონაწილეობით და ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ინიციატივით. გამომდინარე აქედან, წინამდებარე ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს.			

	<p>პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ზესტაფონში რეგისტრირებულ ფიზიკურ და შპმ პირთა საინიციატივო ჯგუფებს. ასევე, ზესტაფონში რეგისტრირებულ და მოქმედ შპმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ზესტაფონში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი 18 წლის ასაკიდან ზემოთ. შემოსული პროექტების შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე, ზესტაფონის მერიის სოციალური დაცვის სამსახურისა და შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მიერ ერთობლივად შემუშავებული წესის შესაბამისად.</p>					
პროგრამის შედეგი	<p>განხორციელებულია 18 წელს ზემოთ შპმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამები და გაზრდილია დასაქმებული შპმ პირების რაოდენობა.</p>					
შესრულების ინდიკატორი განხორციელებული პროექტები	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	3 პროექტი	4 პროექტი	5 პროექტი		
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განხორციელებელი	სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური/ შიდა აუდიტის სამსახური					
რისკები	ნაკლები მომართვიანობა					

დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	<ol style="list-style-type: none"> 1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიძლიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ? 	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	<ol style="list-style-type: none"> 5. ინფრასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები? 	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	<ol style="list-style-type: none"> 8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურება? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	<p>13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას?</p> <p>14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?</p>	
<p>განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა</p>	<p>15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისაწვდომი? თუ არის საგანმანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?</p> <p>116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვდომია?</p> <p>17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?</p>	<p>განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები: კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო; სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.</p>
<p>ძირითადი სერვისები და პროგრამები</p>	<p>18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?</p>	<p>ყურადღების გამახველება პროგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.</p>
<p>Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები</p>	<p>20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად?</p> <p>21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?</p>	<p>ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.</p>
<p>რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის</p>	<p>23. რა უნდა გაკეთდეს თქვენს არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად?</p> <p>24. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?</p>	<p>მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.</p>